საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# სოციალისტ-ფედერალისტი

პარასკევი, ივლისის 15
1921 წ.
№ 71
ფასი 300 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 8
ტელეფონი 12—29

გულდამწვარნი და ღრმის მწუხარებაში მყოფნი: დედა ნინო წითლია-შვილისა, ძმა არჩილ ფარესიშვილი ცოლ-შვილით, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელ

**დიმიტრი დავითის ძის ფარესიშვილის**

ტრაგიკულად დაღუპვას. დაკრძალვა მოხდება დღეს პარასკევს ივლისის 15-ს. ცხედარს გამოასვენებენ ქვაშვეთის ტაძრიდან, დასაფლავება მოხდება ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე. 1022

სრულიად საქართველოს საკათოლიკოზო საბჭო აცნობებს ქართველ მორწმუნე საზოგადოებას, რომ ივლისის 11-ს საღამოს 5-ნახ. საათზე გარდაიცვალა

**კათოლიკოზ-პატრიარქი**

**ლეონიდი**

პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს 7 საათზე, მისი უწმიდესობის კარის ეკლესიაში. დაკრძალვა კვირას, ივლისის 17-ს სიონის საკრებულო ტაძარში.

## პროლეტარული კულტურა თუ რუსიფიკაცია

საქართველოში საბჭოთა სისტემის დამყარებას მოჰყვა ჩვენში უცხო ელემენტების გაძლიერება. ყველა ხელმძღვანელ ორგანოებში უცხოელებია გაბატონებული. წარმოიშვა უზარ-მაზარი დაწესებულებანი აურებელი მუშა-მოსამსახურეებით, რომელთაგან ქართველებს თითებზედ ჩამოითვლით და მათაც უმნიშვნელო თანამდებობა უჭირავთ. ასე რომ ჩვენი სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებანი წარმოადგენენ უცხოელთა „კოლონიებს". და აწარმოებენ კიდეც თავისებურ, კოლონიალურ პოლიტიკას, ვითომც ახალი პროლეტარული კულტურის გავრცელებას, პროლეტარული კულტურის საწინააღმდეგო ჩვენ არაფერი გვაქვს, მაგრამ როცა მისი სახელით წმინდა რუსიფიკატორულ მიზნებს ახორციელებენ, როცა ამ დევიზით ქართულ კულტურას ებრძვიან, ქართულ ენას სჩაგრავენ და ქართულ ხელოვნებას აქვეითებენ, აქ ამ ბნელ საქმეში პროლეტარიატის ხსენება, მისი სახელით მოქმედება, შებღალვა და შეურაცხყოფაა მუშათა კლასის, მისი მაღალი და საკაცობრიო იდეალებისა.

ნუთავინ ცდილობს ჩვენ მოტყუილებას. ჩვენ ვხედავთ ნაცნობ პოლიტიკას და ხშირად ნაცნობ პირებსაც.

ჩვენ არც უცხო კულტურის წინააღმდეგი ვართ, არც მისი გავლენის გვეშინია ნორმალ პირობებში. საქართველოს დიდი ისტორიული წარსული აქვს და ღრმა შინაარსიანი ორიგინალური კულტურა. საქართველოს პროლეტარიატი ვერავითარი ხაშუალებით ვერ დასთმობს თავის კულტურას, როგორც თევზი წყალს, სხვამ არ გადაგვარდება. და ვინც ამ უკანასკნელის ცდაშია, ის ქართველი მშრომელი ხალხის უსაშინელესი მტერია, ის ერის ჰამია შოვინისტია.

ომეგა.

## ოსმალეთის ამბებისათვის

ჩვენს მეზობელ ოსმალეთში ფრიად სერიოზული ამბები ხდება. ეროვნულმა ოსმალეთმა რევოლუციონური რუსეთის დახმარებით მთელს ქვეყანას დაუმტკიცა, თუ რა შეუძლია თავისუფლებისათვის მებრძოლ ერს, თუ რამდენათ დევგმირი და უძლეველია იგი, როდესაც მისი ყოფნა არ ყოფნის საკითხი დგას. მსოფლიო ომის დროს ოსმალეთი სასტიკად დამარცხდა, ეგონათ, რომ „ავათმყოფი ადამიანის" საკითხი უკვე ერთხელ და სამუდამოთ გადაწყდა, რომ ის სცენიდან ჩამოვიდა და მეორეთ ვერ ადგება მისი კანონიერი თუ უკანონო მემკვიდრეების სასიხარულოთ. მართლაც, უნუგეშო იყო ოსმალეთის მდგომარეობა გერმანიის კოალიციის დამარცხების შემდეგ ანტანტამ იწყო ოსმალეთის ცოცხალ ეროვნულ სხეულზე თავისი ქირურგიული ოპერაციები. დაანაწევრა და ჩამოსჭრა მას მისი ორგანიული, ბუნებრივი ნაწილები, დაიწყო ნამდვილი ვაკხანალია. ოსმალეთის განადგურებამ, და ეროვნულმა დამცირებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. ოსმალეთის დედა ქალაქში ანტანტის ჟანდარმერია იჭერდა და ხვრეტდა ოსმალეთის პარლამენტის წევრებს და ეროვნული მოძრაობის მეთაურებს.

ანტანტის ვანდალიზმს საზღვარი არ უჩანდა. ის ლამობდა ეს არის ცოცხლად გადაეყლაპა ოსმალეთი და აი აქ აღმოჩნდა, რომ ცხოვრების ფურცლებიდან ერის ამოშლა დაუსჯელად იმპერიალიზმს არ ძალუძს!

ოსმალეთს მონურს, დამარცხებულსა და მუხლმოდრეკილს დაუპირისპირდა ახალი ოსმალეთი.

ვისაც გსურთ სიცოცხლე, ვისაც გწამთ ერის მომავალი—ანატოლიაში! ვინც მომხრეა ერის სიკვდილის, ვინც ეტრფის მონობას-სტამბოლისაკენ!—ასე დადგა საკითხი ანატოლია თუ სტამბოლი სიკვდილი თუ სიცოცხლე?! მესამე გზა აღარ იყო. ვისაც შერჩა ბრძოლის უნარი და მომავლის იმედი, თავი მოიყარა ანატოლიაში. ანატოლია შეიქნა სიმბოლო თავისუფლების, ერის ღირსების, აღორძინების, სტამბოლი კი დაცემის და ღალატის!..

შეიქნა დიდი ეროვნული მოძრაობა მიმართული ანტანტის გაუმაძღრობის, მისი ვერაგობის წინააღმდეგ.

ამ მოძრაობას ზურგს უმაგრებს რევოლუციონური რუსეთი უკანასკნელის დახმარებით ფართოვდება და მტკიცდება ანატოლიის მოძრაობა.

ამნაირად „ბოსფორის ავათმყოფი" ანატოლიაში მორჩა.

შეიქნა მთლიანი ანტიიმპერიალისტური ფრონტი მოსკოვიდან ანგორამდი.

როგორი შანსები აქვს დღეს ამ მოძრაობას, როგორია მისი უახლოესი პერსპექტივები?..

ოსმალეთი სიურპრიზების ქვეყანაა, ამასთანავე მისი წარსული ჩვენ გვეუბნება, რომ „მას ბევრი სწყალობს". ეს იმიტომ, რომ ოსმალეთში გადახლართულია და ჩაქსოვილია მრავალი ინტერესები და წინააღმდეგობანი.

ამიტომ გადაჭრით რამესი თქმა ძნელია, მხოლოდ ერთი რამ აშკარაა: ოსმალეთს დამოუკიდებლად თავისი ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლა არ შეუძლია. მას დღეს ორი გზა აქვს: რუსეთთან მჭიდრო კავშირი და სრული ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა და ამ ბრძოლაში გამარჯვება ან თავის თავის ღალატი და ანტანტასთან რაიმე „მოდუსის" გამონახვა და შერიგება.

სწორედ დღეს უნდა გადაწყდეს ეს საკითხი. სხვათაშორის ეს იმიტომ, რომ ოსმალეთის საკითხი დღეს მორიგი საკითხია ანტანტისათვის. დღემდის ანტანტის ყურადღების მთავარი ობიექტი იყო გერმანია, მის გაფუჭებას და განადგურებას ანდომებდა ანტანტა თავის უმთავრეს ენერგიას. გერმანიამ მიიღო ანტანტის ულტიმატუმი. ის დაეცა ისე მძიმედ, რომ მის აყენება შეუძლია მხოლოდ ახალ რევოლუციას. ამის შემდეგ ბუნებრივად ჯერი მიდგა ოსმალეთზე.

ანტანტა დიდი ხანია ცდილობდა ანგორა თავისკენ გადაებირებინა. ანგორის წარმომადგენლები კიდევაც მოიწვიეს ლონდონის კონფერენციაზე.

საბჭოთა რუსეთმა უკანასკნელს დაუპირისპირა მოსკოვის კონფერენცია და ჩვენ ვიცით მოსკოვმა გააქარწყლა კიდეც ლონდონის გეგმები.

ანგორამ დაამარცხა საბერძნეთი, სულთანმა ტახტზე ხელი აიღო, ასეთია ოსმალეთიდან უკანასკნელი ცნობები ამავე დროს ანტანტა ანგორასთან მოლაპარაკებას აწარმოებს, ცხადია იქმნება ახალი სიტუაცია, ახალი კომბინაციები.

შესაძლებელია ანგორამ თავის თავს არ უღალატოს და რევოლიუციონურ რუსეთთან ერთად განაგრძოს ბრძოლა ანტანტის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მაგრამ შეიძლება მეორეც. ჩვენ ვიცით ქემალი კომუნისტი არ არის ანტანტის გაუმაძღრობამ ეროვნული ოსმალეთი და ქემალი დაუახლოვა რუსეთს შესაძლოა, თუ ანტანტამ საგრძნობლად შეამსუბუქა სევრის ზავის პირობები და ოსმალეთს რაიმე კომპენსაციები ამიერ-კავკასიაშიაც შესთავაზა, მაშინ შესაძლოა ქემალმა და მასთან ერთად ანგორამ პირი იბრუნეს, ფრონტი იცვალეს... ამიტომ საბჭოთა რესპუბლიკები ვალდებული არიან ენერგიულად თვალყური ადევნონ ოსმალეთის ამბებს და ყოველ გვარი სიურპრიზებისათვის მზად იყვნენ

შ.—ელი

## ვერ უარჰყო

(გრ. რობაქიძის „განმარტების" გამო.)

გრ. რობაქიძემ „განმარტება" მისცა ქართველ საზოგადოებას ჩემი წერილის გამო. (იხ. „ნაცარქექია კუდიანზე", სოც.-ფედ. № 102 ვ. დ.) იგი მეტად სუსტი განმარტება იყო და ვიწროც. მე სამი მომენტი აღვნიშნე, და მათ შესახებ უნდა ეპასუხნა გრ. რობაქიძესაც.

რადგან აღნიშნული სამი მომენტი უფრო ბრალდებას ჰგავს, ასევე მოვიხსენიებ.

პირველი ბრალდება: გრ. რობაქიძემ სთქვა, რომ „მხოლოდ დღეს გაჩნდა ქართველი პოეზია „ცისფერ ყანწების" ჯგუფის სახით. ამ ჯგუფმა უკვე დაამარცხა რუსთაველი"... ამას ვწერდი.

თავის-მართლება: მე ვთქვიო, ამბობს გრ. რობაქიძე, რომ „მეოცე საუკუნეში ახალმა პოეზიამ იწყო სიტყვის გადაბალისება... სიტყვის ენერგიამ იპოვა სხვა გვარი სიმართლე, გამოთქმის ძალამ მონახა თავისებური რიტმი, რუსთაველს ამ მხრივ მოქიშპენიც ჰყავს." მე ვაცხადებ რომ გრ. რობაქიძემ სიტყვა-სიტყვით ასე სთქვა: Руставели ужé прев зойден"-ო. ამას რობაქიძე ვერ უარჰყოფს. თუ ნებავს მოწმეებით დავამტკიცებ. და როცა ამას ამბობდა, მეოცე საუკუნის პოეზია კი არ უხსენებია, მხოლოდ „ცის-ფერთა" ჯგუფზე ლაპარაკობდა. შეიძლება ეს არ დაიჯეროს ქართველმა საზოგადოებამ, რადგან „ყანწელებს" არ უყვართ თავის გაზვიადება, მაგრამ ამ შემთხვევაში ასე იყო.

რობაქიძე ამ ბრალდების აცილებას ვერ აბერხებს, და სხვა სფეროში გადადის: სად არის აქ დამცირება რუსთაველისაო?—მე არც მითქვამს რუსთაველი დაამცირაო, ვერც ვიტყოდი. მე ვწუხდი მხოლოდ, რომ ამ უანგარიშო სიტყვების წარმოთქმით თვით იმცირებენ თავს „ცისფერი ყანწელები".

მეორე ბრალდება: „საქართველო რობაქიძემ ოთხი რასის კონგლომერატად გამოაცხადა: იბერები, მესხები, ქართები და კოლხები." ასე ვწერდი მე. მიპასუხა რამე რობაქიძემ?—არაფერი. იქნებ ეს ბრალდება პასუხის ღირსად არ ჩასთვალა? მე კი ვამბობ, რომ აქაც რობაქიძემ საკუთარი თავი დაიმცირა. და ეთნოლოგიის სრული უცოდინარობა გამოიჩინა. თუმც ამას გარდა ასეთ თქმას სხვაგვარი მნიშვნელობაც ეძლევა.

მესამე ბრალდება: რობაქიძემ სთქვა, ვწერდი მე, რომ „აღმოსავლეთი საქართველო გადაშენებულია, რის საუკეთესო ილიუსტრაცია არის ტფილისი თავის „მოქალაქით", ეს ეთნიური სუმბური, სადაც ყველაფერია, საქართველოს გარდა. ტფილისი არ არის ქართული ქალაქი. მონღოლების შემდეგ აღმოსავლეთი საქართველო კვდება და მოკვდა კიდეცო".

რა მიპასუხა რობაქიძემ?—რასიულ სუმბური ტფილისს ეხებაო. აქაც რობაქიძე უკან იხევს. მონღოლიზმზე რომ ილაპარაკა, სპარსეთზე დაცს. არ უხსენია ეს მთელ აღმოსავლეთ საქართველოს, ან რობაქიძის ტერმინოლოგიით „ქართების რასას"? არა სთქვას, რომ არა. დოკუმენტებით, დაუმტკიცებ რომ სთქვა, და ტფილისი მხოლოდ ილიუსტრაციად იხმარა.

საინტერესოა რობაქიძის „სილოგიზმი",—„თუ ტფილისში არის ეთნიური „სუმბური", უკანასკნელისგან იგი უნდა გაიწმინდოს. აი ერთად ერთი დასკვნა". საიდან გამომდინარეობს ამ გვარი დასკვნა აბა მიჩვენოს. ან და ეს დასკვნა სთქვა იქ, სადაც ცმოახსენა? არა.

„თავის თავად ცხადია, რომ მე სხვა დასკვნა არ დამებადებოდა"-ო. მე კი ვამბობ, რომ გრ. რობაქიძის ნათქვამიდან, „თავისთავად ცხადია", რომ ეს დასკვნა არ გამომდინარეობდა.

ანტი-პატრიოტიზმში კი არ ვდებ მე ბრალს რობაქიძეს, არამედ უპასუხისმგებლობაში, ზერელობაში, გაუფრთხილებლობაში, თავის გაზვიადებაში და ცალმხრივ სექტანტობაში.

დასასრულ მინდა აღვნიშნო, რომ ჩემს წერილს სულაც არ ვწერდი მტრული განზრახვით. პირ-იქით. რობაქიძეს პატივსა ვცემდი, დღესაც მსურს გულწრფელად მისი სიკეთე, და თუ დაუნდობელი ვიყავ და ვარ, ისევ რობაქიძის სასარგებლოდვე. რამდენადაც მეტ თავდაჯერებლობას გამოიჩენს და სიღრმეს, იმდენად უკეთესია მისთვის. რობაქიძემ უნდა აღადგინოს თავის პრესტიჟი, რომელიც მას უსათუოდ ჰქონდა.

თავის ზოგიერთ ამხანაგების გავლენისაგან უნდა გაინთავისუფლოს თავი.

მეტი სიღრმე, სიმძიმე და სიფრთხილე.

„განმარტებების" წერას ეს აჯობებს.

ვან—დიკა.

## † ამხ. დიმიტრი ფარესიშვილი

კვირას, ივლისის 10, ქ. დუშეთში ვიღაც ბოროტის ხელმა მოჰკლა ჩვენი საუკეთესო ამხანაგი დიმიტრი ფარესიშვილი.

ახალგაზრდა, ბრგე ვაჟკაცი, ინტელიგენტი პიროვნება, უანგარო პატრიოტი, სოციალისტი და რევოლიუციონერი. და ამ ადამიანის სასარგებლო და აზრიან სიცოცხლეს ქურდულ ტყვიით აჩერებს ვიღაც ქვე-მძრომი, წუნკალა, ხალხის მოღალატე, ლაჩარი.

ორდღობეებში ჩასაფრება და ზურგიდან თავს-დასხმა მხოლოდ ნაძირალის საქმეა, მაგრამ საუბედუროდ სწორედ ამ გვარი ნაძირალები გამრავლებულან დღეს დუშეთში, რომელნიც დაძრწიან უწმინდური გულით და ხალხის დალატში ეძებენ მხეცურ ინსტინქტების დაკმაყოფილებას. ეს მეორე მკვლელობაა ამ ათი დღის განმავლობაში. გადმოგვცემენ რომ მოსაკლავი კანდიდატები კიდევ ყოფილან. არ ვიცით ვისთან არიან შეხიზნულნი ეს დამის ბანდიტები. არ ვიცით, რა აკავშირებთ მათ დუშეთთან. ეს კი ვიცით, რომ მათი ალაგმვა უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ. უნდა მოისპოს ის ტერრორის ატმოსფერა, რომელსაც დღეს იქ დაუსადგურებია. დაუყოვნებლივ უნდა მოჰხდეს გამოძიება, და სასტიკი სასჯელი უნდა ნახონ არამზადებმა.

ამხ. დიმიტრი ფარესიშვილის სისხლს ასე არ დავტოვებთ უპატრონოდ. ბოროტ-მოქმედებს, რომელნიც ჩვენს პარტიას ასე დაუნდობლად და ქურდულად სტაცებენ საუკეთესო ამხანაგს და პატიოსან რევოლიუციონერს, გავაგებინებთ, სად არის მათი ადგილი, როგორი პატრონი ჰყოლია დიმიტრი ფარესიშვილს.

ვ. კოტეტიშვილი.

## † გრიშა ჩაჩავას ხსოვნას

მოულოდნელმა შემთხვევამ სრულებით უდროვოდ გამოგვაცალა ხელიდან ენერგიული მებრძოლი, რევოლიუციონერი—ამხ. გრიშა ჩაჩავა; მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ თვალში გვიდგა სახე ჩვენი საუკეთესო მუშაკის—პავლიკო მეშკენაძის, რომელიც გმირულად დაიღუპა სამშობლოს სადარაჯოზე.

გრიშა ჩაჩავა, ეს იყო ენერგიით აღსავსე ახალგაზრდა, რომელსაც დიდი შრომა მიუძღვის ქუთაისის ახალგაზრდობის წინაშე. იგი ადრე გაეცნო და შეუდგა საზოგადო ასპარეზზე მუშაობას. იგი იზრდებოდა მეტად ცუდ პირობებში, მაგრამ მიუხედავად ამისა მან გადალახა ყოველივე დაბრკოლებები და მიაღწია თავის მიზანს. ის გვიკითხავდა

ლუქციებს ქ. ქართველ ახალგაზრდობას რათა ჩვენს გულში ალებეჭდა იდეა „სოციალიზმ-ფედერალიზმის“ რომელთა განხორციელებისთვისაც არ იშურებდა უკანასკნელ თავის სიცოცხლესაც კი.

სამწუხაროა, რომ ენერგიულ არსებას არ დასცალდა ამ გზით სვლა, დღეს, როდესაც ქართველ ახალგაზრდობას ესაჭიროება ასეთი ცოდნით აღჭურვილი ადამიანი, როგორიც გრიშა იყო, აღარ არის იგი, გაჰქრა სხეული, მაგრამ იდეა კი უკვდავია.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი ძვირფასო ამხანაგო. **ნოე მეხხა.**

# დეკრეტი

**საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა საარქივო საქმის რეორგანიზაციის შესახებ.**

1. სახელმწიფო დაწესებულებათა ყველა ცალკე საუწყებო არქივები გაუქმდეს და ყველა მათი საქმეები და საბუთები ამიერიდან გადირიცხოს სახელმწიფოთა საარქივო ერთიან ფონდში.

2. სახელმწიფო საარქივო ფონდის გამგებლობისათვის დაარსდეს სახალხო განათლების კომისარიატთან, როგორც ისი აკადემიური ცენტრის ნაწილი, საარქივო საქმეთა სამმართველო.

3. საარქივო საქმეთა სამმართველოს გამგეს ამტიცებს სახალხო განათლების კომისარიატის აკადემიური ცენტრი.

4. სახელმწიფო დაწესებულებით ყველებათ ყოველ გვარი საარქივო საქმეები და მიწერ-მოწერა, რომელიც დასრულებულა 1921 წ. თებერვლის 25 დე და მიმდინარე მუშაობის საჭიროებას არ წარმოადგენს, გადასცენ საარქივო საქმეთა სამმართველოს, ხოლო დანარჩენი დაუსრულებელი საქმეები უნდა დარჩეს მათ ხელში ყოველ უწყებისათვის ცალკე დებულებით განსაზღვრულ დრომდე, რომლის გასვლის შემდეგ ყველა საქმეები და საბუთები უნდა გადაეცეს იმავე საარქივო საქმეთა სამმართველოს.

5. სახელმწიფო დაწესებულება ეკრძალებათ ყოველგვარი საქმისა, მიწერ-მოწერისა ან ცალკე ქაღალდის მოსპობა საარქივო საქმეთა სამმართველოს წერილობითი ნებადაურთველად.

6. იმ მიზნით, რომ სამეცნიერო კვლევა-ძიებისთვის გადავიდეს არქივებით სარგებლობა და არქივები სათანადო შენახული და დაცულ იქნეს, სახელმწიფო საარქივო ფონდის ცალკე ნაწილები, შეძლების დაგვარად, შეერთებულ იქნეს ცენტრალიზაციის საფუძველზე.

7. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა. საქართველოს ს. ს. რ. რევოლ. კომ. თავმჯდომარე ფ. მახარაძე. სახალხო განათლების კომისარი ა. თუმანიშვილი რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე. 1921 წ. ივლისის 1. თბილისი-სასახლე.

ქალაქის რევკომის სამმართველოს განყოფილება მადლობას უცხადებს ტფილისის მილიციის უფროსს ამხ. ჩხეიძეს, მილიციის საკომანდო შემადგენლობას და ამხ. მილიციონერებს, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს 28 ივნისს რუსთაველის პროსპექტზე სამაზრო რევკომის ბინაზე ცეცხლის ქრობაში და დისციპლინა და თავგანწირულება გამოიჩინეს, როგორც დაზარალებულ დაწესებულებათა და მოქალაქეთა ქონების და წესიერების დაცვის აგრეთვე უშუალოდ ცეცხლთან ბრძოლით. ქალაქის რევკომის პრეზიდიუმის წევრი შინაგან სამმართველოს განყოფილების გამგე ო. ვარძიელი.

# ახალი ამბები

— **ტეხნიკურ ლაბორატორიებათა გამოდლევანდელი ნომერი 2 გვერდიანი გამოდის.**

— **მთავარი ხამხატვრო კომიტეტი.** განათლების სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა პროექტები ტფილისის მუსიკალური სასწავლებლის მე-2 სახელმწიფო კონსერვატორიად, ქუთაისის მუსიკალურ სასწავლებლის სახელმწიფო სასწავლებლად და ტფილისის მუსიკალურ ინსტიტუტის—მუსიკალურ სასწავლებლის გადაქცევის შესახებ.

— **ხაბჭოთა ხახადილო.** მიწათ-მოქმედებისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატების მოსამსახურეებისათვის გრიბოედოვისა და კრუზენშტერნის ქუჩების კუთხეში 1 ივლისიდან გაიხსნა სასადილო 600 სულისთვის. სადილები უფასოა.

— **ცენტრო-კავშირი.** ცენტრო-კავშირის ამიერ კავკასიის კანტორების სამმართველომ საქართველოს სასურსათო სახალხო კომისარიატის განკარგულებაში მარისა და ივნისის განმავლობაში გადასცა 10 ვაგონი ბრინჯი და 3 ვაგონი თევზი. „ცენტრო კავშირის“ ბაქოს კანტორამ გადასცა ამიერ კავკასიის კანტორების სამმართველოს 2 ვაგონი ხელდი, დანიშნული სასურსათო სახალხო კომისარიატის საჭიროებისათვის და 5 ვაგონი ხელდი პირდაპირ საქართველოს რევკომის მისამართით. „ცენტრო-კავშირის“ ამიერ კავკასიის კონტორების სამმართველომ მჭიდრო ამხანაგური ურთიერთობა დაამყარა მთიელთა რესპუბლიკის, ყუბანის, დონის, ყაბარდოს და სომხეთის კოოპერატიულ ორგანიზაციებთან იმ მიზნით, რომ საქართველოში პური და სავალიუტო ნედლი მასალა მოატანინოს საქონელზე გადასაცვლელ ფონდის შესაქმნელად.

— **ქართული ოპერეტა.** დღეს, ივლისის 15-ს სახელმწიფო დრამის თეატრში ვასო აბაშიძისა, ელ. ჩერქეზიშვილის და სხვა საუკეთესო ძალთა მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება თათრული ოპერეტი „არშინ მალ-ალან“. ბილეთები იყიდება. დასაწყისი 8 ნახევარ. საათზე.

— **ქერის მოსავალი.** ტფილისის გარშემო ქერი დამწიფდა და უკვე ორი კვირაა, რაც გლეხები შეუდგნენ მოსავლის მოკრებას. კომუნალური მეურნეობის საბჭოს სადგილ-მამულო ქვე-განყოფილება ხელმძღვანელობას უწევს მოსავლის მოკრების საქმეს და შეუდგა ნატურალური გადასახადის მოკრებას, იღებენ მოსავლის მეათედ ნაწილს მოსავლის მიხედვით ეს. გადასახადი სულ მცირეთ შეიკრიბება ქალაქის ძველ საზღვრებში 500 ზე მეტი ფუთი, ხოლო ქალაქის ახალ ფარგლებში—10,000 ფუთამდე.

— **რკინის გზების აყრა.** შპალების და უმთავრესათ რელსების ნაკლებობის გამო აჰყარეს მეორე ლიანდაგი ბაქო-ტფილისს შორის. ლიანდაგის აყრით მიიღეს 67,000 ც. შპალი. ბაქოში უკვე ჩაიტანეს 33,000 ცალი. ჰყრიან აგრეთვე ლიანდაგს ბაქოს მთავარ სახელოსნოებში, საიდანაც ფიქრობენ 12,000 ცალის მიღებას.

— **ხაჭირო შპალების რაოდენობა.** უმთავრესს ხაზზე კარაკლისის რაიონში საჭიროა 183,000 ცალი შპალის გამოცვლა. სამხრეთ გზაზე პირველ რიგში უნდა გამოიცვალოს 154,000 ცალი შპალი საერთო რაოდენობით 350,000. სამხრეთის გზაზე მარაგათ არ არის არც ერთი შპალი.

— **რომელი შტოების გაყვანა არის ხაჭირო.** ტყეების ნაყოფიერათ დამუშავებისათვის საჭიროა ახალი შტოების გაყვანა, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია: ალაზანის შტო (რომლისათვისაც საჭიროა 34,000 ცალი შპალი), თევზის შტო, პეტროვის ხაზზე საჭიროა 10,000 ცალი შპალი და შტო მარილიან ტბისაკენ ბეიუქშორი, საიდგანაც განზრახულია 2 მილიონ ფუთი მარილის მიღება (საჭიროება 6,000 ცალი შპალის). განზრახულია სხვა შტოების გაყვანა, მაგრამ ზემო აღნიშნულ შტოებს აქვთ განსაკუთრებული საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა და ამიტომ პირველ რიგში უნდა იქნენ გაკეთებული.

— **ხაკანტროლო კურხები.** ახლო მომავალში მუშა-გლეხთა ინსპექცია საკანტროლო საქმის შესასწავლათ გახსნის ორ თვიან კურსებს, მიიღებიან პროფკავშირების რეკომენდაციით. მეცადინეობა განზრახულია საღამოობით, დილაობით კი კურსანტები მიიღებენ მონაწილეობას სხვა და სხვა კომისიებში და რევიზიებში—საკანტროლო საქმეში გამოცდილ სპეციალისტების ხელმძღვანელობით. სასწავლო პროგრამაში შევა საერთო ხასიათის საგნები: 1. საბჭოთა ხელისუფლება. 2. რევოლიუციის ისტორია, 3. საქართველოს ეკონომიური გეოგრაფია.

— **ხპეციალური ხაგნები.** 1) სახელმწიფოებრივ კანტროლის ისტორია, 2) მუშათა კანტროლი, 3) მუშა გლეხთა ინსპექცია, მისი დანიშნულება და მნიშვნელობა, 4) კანცელარიული საქმის წარმოება, 5) ბუჰალტერია 6) წინასწარი რევიზია 7) ფაქტიური რევიზია და 8) უკანასკნელი რევიზია.

— ხამხედრო ... წესები. 1) სამხედრო დაწესებულებათა რევიზია 1) რკ. გზის რევიზია. კურსების გავლილთ მიეცემათ სამუშაო სპეციალობის მიხედვით. ინსპექციამ დაამტკიცა დებულება კურსებზე მოწვეულ მუშების ნივთიერათ უზრუნველყოფის შესახებ და საერთოდ მუშა-გლეხთა ინსპექციასთან მუშაობის შესახებ.

# საქ.-სოც. ფედ. სარ. პარტიაში

კვირას 26 ივნისს შესდგა საქ. სოც.-ფედ. ს. პ. ლანჩხუთის ორგანიზაციის საერთო კრება. მოხსენება მე 6 კონფერენციის შესახებ გააკეთა მ. იმნაძემ. თანამომხსენებლად გამოვიდა ამხ. პლატონ კვირკველია. საბრალო იყო, როგორც მომხსენებელი იმნაძე. ცალმხრივობა, ფაქტები ტენდენციურად გაშუქება, აი რა ახასიათებდა მის მოხსენებას!..

სამაგიეროდ ამხ. პლ. კვირკველიას მიერ გაკეთებული მოხსენება სავსებით ობიექტიური და დასაბუთებული იყო. ძლიერი შთაბეჭდილება დასტოვა მან და იმიტომ იყო, რომ მის წინააღმდეგ ვერაფერი სთქვეს, არსებითად.

გარკვევით დაასაბუთა მან, რომ შესაძლებელი იყო არ მომხდარიყო კონფერენციაზე განხეთქილება, მაგრამ ზოგიერთების პირადულმა ჟინიანობამ სძლია უმრავლესობა კონფერენციის, და ამის შედეგათ მივიღეთ სამწუხარო განხეთქილებათ... ეს დაადასტურა შემდეგ მ. იმნაძემაც. კრება ერთხმად იზიარებდა იმ სამწუხარო ფაქტს, რომ კონფერენცია თავის სიმაღლეზე ვერ იდგა და ყველა ორატორი გამოს ეჭვემდა სურვილს პარტიის გაერთიანებლად. სრული აზრთა სხვაობა გამოიწვია შემდეგ ამ გაერთიანების გაგებამ. იმნაძე და სხვები აქ უკვე დადგნენ ყოფ. მთავარი კომიტეტის პოზიციაზე და აქედან მოუწოდებდნენ დაბრუნებას „წასულ“ ამხანაგებს.

ასე გაიგეს იმათ გაერთიანება!.. კრების უმრავლესობამაც სამწუხაროდ გაიზიარა ეს აზრი, ამ რიგათ განხეთქილება უკვე ფაქტად დარჩა. აღსანიშნავია რომ დრ. მთავარი კომიტეტის პოზიცია გაიზიარა პარტიის ცოცხალმა ელემენტმა და განსაკუთრებით მუშებმა. ამ ორგანიზაციის თითქმის ყველა მიწის მუშები 30 კაცამდე დრ. მთ, კომ. პოზიციაზე დარჩა.

შეკრებილმა ამხანაგებმა აირჩიეს დროებითი სამეული. პარტიული მუშაობის მოსაგვარებლად და გასაძლიერებლად. ვუსურვებთ ამხ. მტკიცე და გარკვეული ყოფილიყოს მათი მუშაობა, დაუღალავი, უმოქმედობა, რომელიც ასე ახასიათებდა ლანჩხუთს ყოფილ ორგანიზაციას.

**Agricola.**

# პარტიული ცხოვრება

**კრება ვერის უბანში.** ორშაბათს, ივლისის 11-ს, საღამოს 7 საათზე შესდგა ტფილისში ვერის უბნის „პარტიულ წევრთა (ხელ-ახალი რეგისტრაციით) საზოგადო კრება. თავმჯდომარეობდა ამხ. შ. გოგოლაშვილი, მდივნობდა ამხ. გრ. ლასკარი. დრ. მთავარ კომიტეტის მოქმედების შესახებ და პარტიის უახლოეს მიზნებზე მოკლე მოხსენება გააკეთა ამხ. ეფ. ჩახუნაშვილმა და მოუწოდა ამხანაგებს ენერგიული ზომები მიიღონ პარტიული ორგანიზაციების აღსადგენად და პარტიული მუშაობის გასაცხოველებლად. შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო ასეთი რეზოლიუცია:

1921 წ. ივლისის 11-ს, საქ. სოც.-ფედერალისტთა სარ. პარტიის ვერის უბნის წევრთა საზოგადო კრებამ, მოისმინა რა მოხსენება დრ. მთავარ კომიტეტის მოქმედების და მისი უახლოეს მიზნების შესახებ, იწონებს მას და ავალებს მომავალ საუბნო კომიტეტს გააჩაღოს გაცხოველებული პარტიული მუშაობა, შემოიკრიბოს გარშემო ამხანაგები და ყოველი ძალღონით ხელი შეუწყოს დრ. მთავარ კომიტეტს დასახულ მიზნების განსახორციელებლად“.

დასასრულ არჩეულ იქმნენ საუბნო კომიტეტის წევრებად ამხანაგები: გრ. ლასკარი, შ. გოგოლაშვილი, ალ. შოთაძე და კანდიდატად დ. ხარებაშვილი. სარევიზიო კომისიაში: ს. ამაღლობელი, აგრ. იაშვილი და ჩიმაკაძე.

კრება დასრულდა 10 საათზე.

# რადიო

**ახალი კონფლიქტის წინაშე.**

**პარიზი.** საფრანგეთის პრესა არჩევს ინგლისის მიმართ ბრიანის უკანასკნელ ნოტას, რომელიც ეხება რუსეთთან ვაჭრობის საკითხს. გაზ. „მატენის“ ცნობით, ინგლისმა უკვე მიიღო საფრანგეთიდან პასუხი. თავის მხრივ ინგლისი უარს აცხადებს მხედველობაში მიიღოს რუსეთის ვალი საფრანგეთის წინაშე. ამისა გამო „მატენი“ სწერს: თუ გავიხსენებთ იმას, რომ საფრანგეთის კონცესიები რუსეთში წარმოადგენს 7 მილიარდის დირებულებას, მაშინ ადვილი გასაგებია, თუ რა ზიანს აყენებს ეს საფრანგეთის ინტერესს ამასვე უნდა მივუმატოთ ის ზარალი, რაც საფრანგეთმა განიცადა ინგლისში რუსეთის ოქროს გადაგზავნით, რაც უზრუნველყოფდა საფრანგეთის სესხ უნდა დავადასტუროთ. რომ რუსეთში ინგლისის სავაჭრო ოპერაციები მიმართულია საფრანგეთის ინტერესის წინააღმდეგ.

გაზ. „ტანი“ თავის მხრივ მიუთითებს იმაზე, რომ თუ საგარეო საქმეზე სასამართლოს განაჩენი დაადასტურა ლორდთა პალატამ მაშინ ბოლშევიკებს ეძლევა უფლება ინგლისში გაჰყიდონ ისეთი საქონელი, რომელზედაც უცხოელთა საკუთრება დამტკიცებულ იქნება. გაზეთი მიუთითებს, რომ ფრანგ მოქალაქეთა უფლება თავის ქონებაზე რუსეთში მათვე რჩება. თუ ინგლისი ამ უფლებას უარყოფს, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ინგლისს სურს დაიჭიროს საფრანგეთ და საბჭოთა რუსეთის შორის ისეთი პოზიცია, როგორიც ლოიდ-ჯორჯს ეკავა საფრანგეთ-გერმანიის შორის.

# წერილი რედაქციის მიმართ

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საჭიროთ ვსთვლი განვაცხადო შემდეგი: მე შემთხვევით შევიარე თქვენს რედაქციაში გაზეთის იმ №№-ბის მისაღებათ, რომლებშიაც იყო მოთავსებული წერილები მეჯლისის შესახებ. რედაქციაში მყოფმა თანამშრომლებმა მომცეს შეკითხვები, რომლებზედაც პირველად მსურდა პასუხი მიმეცა, მაგრამ შევამჩნიე რა რომ ისინი ჩემს პასუხს სხვა გვარ მნიშვნელობას აძლევდნენ, მე კატეგორიულად მოვითხოვე რომ არასფერი დაბეჭდილიყო თუ ჩემგან არ მიიღებდით პასუხის სისწორის დასტურს ან და წერილობით პასუხს თქვენს შეკითხვებზე. არც ერთი და არც მეორე ჩემი მოთხოვნილება დაკმაყოფილებულ არ იქმნა და თქვენს გაზეთში № 107 ში „ინტერვიუ“ს სათაურით დაბეჭდილია ის რაც ჩემს მიერ არ თქმულა და არც შეიძლებოდა თქმულიყო. ამისთვის ვთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტის“ მახლობელ №-ში მოათავსოთ ეს ჩემი განცხადება, რომ მე არავითარი ინტერვიუ არ მომიცია თქვენთვის.

**ხასან ლორთქიფანიძე.**

12 ივლისი 1921 წ.

**რედაქციიხაგან.** ვბეჭდავთ რა მოქ. ხასან ლორთქიფანიძეს წერილს ვაცხადებთ შემდეგს: „აჭარისტანის“ მეჯლისის წარმომადგენლები მოვიდნენ ჩვენს რედაქციაში მამედ ბეგ აბაშიძის წერილის გამო, რითაც ჩვენ ვისარგებლეთ და ვკითხეთ ის, რაც გვაინტერესებდა, განვუცხადეთ, რომ თუ შეიძლება დავბეჭდავთ თქვენს პასუხებს გაზეთში ინტერვიუს სახით. რაზედაც ჰასან ლორთქიფანიძემ დასტური მოგვცა, მხოლოდ გვ... ლი წამაკითხეთ, რომ პასუხების სისწორე დაცული იყვესო. წერილი—ინტერვიუ საამბობი ... ... რამდენჯერმე ... ქიფანიძეს, მაგრამ ... და ჩვენ ... დაბეჭდა, რადგან საკითხი მეტად სერიოზული და მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქვეყნისთვის. აქვე ვაცხადებთ, რომ ინტერვიუში არ გაუშვიათ ის ცნობები, რომლებიც დიდი სიფრთხილით გვამცნევდნენ მეჯლისის წარმომადგენლები. დღეს მოქ. ხასან ლორთქიფანიძის განცხადება, რომ „ინტერვიუს“ სათაურით დაბეჭდილია ის, რაც ჩემ მიერ არც თქმულა და არც შეიძლებოდა თქმულიყოვო“ ვერ არ შეეფერება სიმართლეს, რაც დაბეჭდეთ, სიტყვა-სიტყვით იყო თქმული, ვწერდით მათ მიერ პასუხის მიცემის თანავე, რასაც ვამოწმებთ გაზ. „სოც. ფედ.“ დამსწრე თანამშრომლები: ვახტანგ კოტეტიშვილი, პ. ჭანიშვილი, ეფრემ ჩახუნაშვილი, სიმონ ხუნდაძე*).

*) თედო ღლონტი პროვინციაშია წასული და მიტომ არ არის მისი ხელმოწერა.

რედაქტორი თედო ღლონტი.

გამომცემი დრ. მთავარი კომიტეტისა.


**დაჰკარგე** პირადობის მოწმობა რომელიც მოცემული იყო მამულის შესახებ. ფილიპე და მიხეილი გძელიშვილებისაგან მატრონე სირაძის სახელზე მოცემული. გთხოვთ ჩაითვალოს გაუქმებულად. 1025

**დაჰკარგე** რეგისტრაციის ბარათი მე-11 სამილიციო უბანში მიღებული, პასპორტი სოფ. კავთისხევში მიღებული და ნაბართვა ფეხსაცმელების სახელოსნო ქონისა ზაქარია ხოკერაშვილის სახელობაზე, რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.

**დაჰკარგულია** იუსუფ ალის ძე ფარლაგაშვილის სახელზე გარეშე საქმეთა კომისარიატიდან ამა წლის ივნისის 17-ს 3620 №-ით მიღებული მოწმობა, რაც ითვლება გაუქმებულად. 102

კბილის ექიმი
**აპოლონ ურუშაძე**
განაახლა ავადმყოფების მიღება
9—1 ს. და 4—7 ს.
ბებუთოვის ქუჩა 13 ბინა 1. 29

შინაგანი—ექიმი
**ი. გ. ქუთათელაძე**
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხშეუ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთაოს (საპს) ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭიით ცხვრის სასულე—მილას ავათმყოფობას ვექიმობ „ნეიმანის და ვესსელის“ მეთოდებით. ვეძლევი დარიგებას „ზოოტეხნიის“ (საქონლის მოვლა მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 2—5 ს. ბელინსკის ქუჩა № ..., ... 2. 38

ექიმი
**ნ. ა. არუთინოვი**
სპეციალურად ხიფილისი (914 წ 606) სქესობრივი ურლურება, ვენერიულ სნეულებათა და შარდვები.
ახალი ბებუთოვის ქ. 5, ცეცხლის მქრობელ რაზმის ახლო. ავადმყოფების მიღება 10—2 და 5—7 საათ. 946

უოფ. გიმნაზიის დამაარსებელი და გამგე მათემატიკის მასწავლებელი ივ. მარკ. მაჩაიძე
ადგენს მოსამზად.
**ჯგუფებს**
ოთხი და ექვსი კლასის მოწმობის მისაღებად. აგრეთვე საშუალო სასწავლებელში: გიმნაზიაში, რეალურ სასწავლებელში, საერთო განათლების კურსებზე შესასვლელად მე-2, 3, 4, 5, 6, 7 კლასში. მასწავლებლობის და აფთიაქის მოწაფის წოდებაზე.
აგრეთვე იძლევა ცალკე გაკვეთილებს: მათემატიკაში გერმანულში და რუსულ ენებში—განმეორებითი გამოცდებზე მოსამზადებლად.
მეცადინობა: დილით—5—7 საათამდე. საღამოთი 2—4 და 5—7 საათ.
მისამართი: პლეხანოვის ქუჩის და ალექსის ქუჩის კუთხე № 25 და 5.
ნახვა და ჩაწერა—6—7 ნახ. დილით 3—7 საღამოთი. 1081